თბილზნიეპი

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირება

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN

ს/კ 200266586

I/C 200266586

საქართველო, 0160 თბილისი, ზღვის უბანი Xა კვ.42კორპ.ბინა57

თბილისი, GEORGIA

დასკვნა

ქ. თბილისში, .ონიაშვილის ქ. №26 (კოდი №01.10.12.041.014) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილისა და ონიაშვილის ქ. №24 და №28-ში არსებული შენობის ურთიერთბავშვენათა შეფასების შესახებ

(მშენებარე შენობის საძირკვლების მოწყობის გავლენის შეფასება მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებთან მიმართებაში)

შპს "თბილზნიეპი"-ს
დირექტორი



ივანე მიხანაშვილი

დასკვნა

ქ. თბილისში, . ონიაშვილის ქ. №26 (კოდი №01.10.12.041.014) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილისა და ონიაშვილის ქ. №24 და №28-ში არსებული შენობის ურთიერთგავლენათა შეფასების შესახებ

(მშენებარე შენობის საძირკვლების მოწყობის გავლენის შეფასება მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებთან მიმართებაში)

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,
მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,
შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით
კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

თბილისი 2015

დასკვნა

ქ. თბილისში, არსებული შენობის ურთიერთგავლენის შეფასების შესახებ

(მშენებარე შენობის საძირკვლების მოწყობის გავლენის შეფასება მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებთან მიმართებაში)

ამხანაგობა „ონიაშვილის 26“-ის დაკვეთის შესაბამისად, ჩვენს მიერ განხილული იქნა მშენებრე საცხოვრებელი სახლის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია:

1. საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტორული ნაწილი, რომლის განხორციელება განზრახულია ქ. თბილისში, ონაშვილის ქ. №26-ში საკადასტრო კოდი, №01.10.12.041.014.;

2. ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა მიმდებარედ მ. ონაშვილის ქ. №26-ში არსებული შენობის არსებული ტექნიკური მდგომარეობა და მისი ფოტომასალები და აღწერილობა წარმოდგენილია დანართი 1_ის სახით .

მშენებარე შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა. შენობის გაბარიტული ზომები გეგმაში -14.10მX22.67მ. შენობა 8 სართულიანია, 1 (ერთი) სარდაფის სართულით, სარდაფის სართულის სიმაღლე -3.0მ, პირველი სართულის სიმაღლე -3.90მ. ტიპიური სართულების სიმაღლე კი -3.1მ.

შენობა, კონსტრუქციული თვალსაზრისით, დაპროექტებულია როგორც ჩარჩოვან-კავშირებიანი მზიდი სისტემა, რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებითა და ლითონის თანამედროვე მასალებით. შევსება: წვრილი ქვის ბლოკებითა და აგურის მასალით. არქიტექტორი. თ. კვანტალიანი.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით შენობა განთავსებულია სწორ რელიეფზე, შენობის მთავარი ფასადის მხარე ესაზღვრება (გამოდის) . ონიაშვილის სახელობის ქუჩაზე. ონიაშვილის ქ. №24-ის მხრიდან კი მას ესაზღვრება მიმდებარედ არსებული 6 სართულიანი (სარდაფით) თანამედროვე შენობა, ხოლო ონიაშვილის ქ. №28-ის მხრიდან კი ბეტონით, ქვითა და აგურით ნაშენები ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი სადაფითა და მანსარდით.

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საფუძველზე შედგენილი დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით კონსტრუქტორის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საპროექტო შენობის დაფუძნება განხორციელდეს საძირკვლის ფილით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს დარტყმით და ვიბრაციულ ზემოქმედებებს მშენებლობის მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე. არსებულ შენობებსა და მშენებარე შენობებს შორის, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების (პნ 02.01-08, მუხლები 10-13, СНиП 2.02.01-83. პნ. 2.34, ან DIN 4123) მოთხოვნათა შესაბამისად. არსებულ შენობა-ნაგებობებსა და მშენებარე საცხოვრებელ სახლს შორის მიზანშეწონილია გრუნტში მოეწყოს

მიჯრით მიწყობილი ნაბურღ-ინექციებული ხიმინჯების ფარდა მათი ძირითად ქანებში (ქვიშაქვებში) ჩაანკერებით *(ან ალტერნატიული ფარდა ხელით ამოღებილი ჭებისა და მათი დამაკავშირებელი გამყოფი კედლის მოწყობით),* რომელიც უნდა გამორიცხავდეს არსებულ და მშენებარე შენობათა საძირკვლების დონეზე უარყოფით ურთიერთგავლენების შესაძლებლობას!

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, აგრეთვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს მიმდებარედ არსებული 7 და 1 სართულიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საერთო ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და დაფიქსირდეს მათი ამ პერიოდისათვის არსებული ტექნიკური მდგომარეობა. არსებული საცხოვრებელი სახლების მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე, განსაკუთრებით იმ ადგილებში სადაც მას გააჩნია დეფორმაციის ნიშნები და ბზარები, დაყენებული იქნას ყალაურები და განხორციელდეს დაკვირვებანი დეფორმაციების გამოვლენისა და აღრიცხვის მიზნით, თუ რა თქმა უნდა ასეთებს სამუშაოთა წარმოების პროცესში ექნება ადგილი. სამუშაოთა წარმოება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,
მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,
შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით
კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

ქ. თბილისი

27.10.2015წ.



ფოტო №1. მშენებლობის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლის ტორეცის ხედი ონიაშვილის ქუჩის მხრიდან.



ფოტო №2. საცხოვრებელი სახლის მავარი ფასადის ფრაგმენტის ხედი, ონიაშვილის ქუჩის მხრიდან.



ფოტო №3. საცხოვრებელი სახლის მავარი ფასადის ფრაგმენტის ხედი, ონიაშვილის ქუჩის მხრიდან.



ფოტო №4. მიმდებარედ არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ტორეციისა და საძირკვლების ხედი საპროექტო შენობის გასწვრივ.



ფოტო №5. მიმდებარედ არსებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის (სარდაფითა და მანსარდით) ტორეციხა და საძირკვლების ხედი საპროექტო შენობის გასწვრივ.


Ограждение защитное металлическое высотой 2,0 м
Ограждение временное 6-секционное
Ограждение временное 6-секционное
Ограждение временное 6-секционное

ქვაბულის ჭრილი 1–1 მ.1:150



ქვაბულის ჭრილი 2–2 მ.1:150



შენიშვნები:

1. ძირითადი შენიშვნები იხილეთ პროექტის განმარტებით ბარათში.
2. შენობის ღერძების ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიბმა ტერიტორიასთან იხილეთ პროექტის არქიტექტურულ ნაწილში (იხ.გენგეგმა ტოპოძირით) . პირობითი ნიშნული ±0.000 მ შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 474.050 მ.
3. ქვაბულში დასამუშავებელი გრუნტი ძირითადად წარმოადგენს ნაყარ ფენას და თიხა გრუნტს, რომლებიც დამუშავების სამივე სახეობისათვის მიეკუთვნება III ნაყარის სიმძლავრე მერყეობს 1.5... 2.0 მ –ს შორის
4. ქვაბულის ჭრილი 3–3 და დასამუშავებელი გრუნტის მოცულობები იხ. ფ. ქვ–3
5. ქვაბული მიღებული უნდა იქნას ინჟინერ–გეოლოგის და კონსტრუქტორის მიერ სათანადო აქტის გაფორმებით
6. დასამუშავებელი გრუნტის მოცულობები იხ ფ. ქვ–3

დამკვეთი:
ამხანაგობა "ონიაშვილის 26"

მისამართი:
ქ. თბილისი,
ო.ონიაშვილის ქუჩა №26

ობიექტი:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

სტადია:
მუშა პროექტი

ფურცლის დასახელება:
ქვაბულის ჭრილები 1–1, 2–2

მასშტაბი:	ფურცელი:
1:150	A3

თანამდებობა	სახელი გვარი	ხელმოწერა
არ.ხელმძღვან.	თ. კვანტალიანი	
პრ. მთ. არქიტექ.	თ. კვანტალიანი	
კონსტრუქტორი	ბ. ბარბაქაძე	

თარიღი	ფურცლის №	ფურც. რაოდ.
30/11/2015	ქვ–2	30

109°
architect
თენგიზ აბულაძის ქ.21
თბილისი, აბულაძის ქ. 21
ტ (995 32) 25 31 88 / 25 19 04